N12/23 11 დეკემბერი, 2023 წელი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ბრძანება

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთათვის დამატებითი წესების შესახებ

1. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, 2023 წლის 13, 14 და 16 დეკემბერს (გასაჩივრების დღე) დანიშნული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ეფექტიანად ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად, დამტკიცდეს დამატებითი საგამოცდო წესები წინამდებარე ბრძანების თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გამოცდის მონაწილეებს წინასწარ ეცნობოთ წინამდებარე ბრძანების დანართით დამტკიცებული წესები.
3. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირებისა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების უზრუნველყოფა დაევალოს ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ასათიანი

თავმჯდომარე

თინათინ ვირსალაძის I ჩიხი #1 დიღომი, თბილისი. ტელ/ფაქსი (995 32) 298 78 78
Tinatin Virsaladze I dead End #1 Dighomi, Tbilisi, Tel/Fax (995 32) 298 78 78
www.gba.ge

<u>დანართი 1</u>

დამატებითი წესები საკვალიფიკაციო გამოცდის მონაწილეთათვის

(საგამოცდო დღე)

- გამოცდის ხანგრძლივობა - 6 (ექვსი) საათი;
- მონაწილე საკვალიფიკაციო გამოცდის დღეს უნდა გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე, წინასწარ განსაზღვრულ დროს, რომელიც ეცნობება საგამოცდო პორტალის საშუალებით და გაიაროს რეგისტრაცია;
- რეგისტრაციის მიზნით, გამოცდის მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი გამოცდაზე არ დაიშვება;
- გამოცდის დაწყების შემდეგ, დაგვიანებით გამოცხადებული მონაწილე დაიშვება გამოცდაზე და ისარგებლებს მხოლოდ იმ დროით, რაც დარჩენილია საგამოცდო დროის დასრულებამდე;
- საგამოცდო სივრცეში მონაწილე დაიშვება მხოლოდ რეგისტრაციისა და ნებისმიერ ტექნიკურ, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებებზე სპეციალური დეტექტორით შემოწმების შემდგომ. საგამოცდო სივრცეში მონაწილეს შეუძლია დაიკავოს მისთვის სასურველი ნებისმიერი ადგილი;
- გამოცდის დაწყებამდე მონაწილე ეცნობა ელექტრონული სისტემის გამოყენებისა და საგამოცდო სივრცეში ქცევის წესებს;
- გამოცდის მონაწილეს უფლება აქვს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში დატოვოს საგამოცდო სივრცე (საგამოცდო დარბაზი), მაგრამ არაუმეტეს ორჯერ. აღნიშნული დანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება გამოცდიდან;
- მიზანშეწონილია ადმინისტრაციის თანამშრომლები, დამკვირვებლები და მონაწილეები საგამოცდო სივრცეში გამოცხადდნენ ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით (პირბადე);
- საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა არ აძლევს მონაწილეს უფლებას მოითხოვოს დამატებითი გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა, გამოცდაზე გამოუცხადებლობა საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა;
- **საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოცდის საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას ანდა მომდევნო საკვალიფიკაციო გამოცდაზე გადატანას, გარდა იმ შემთხვევისა თუ მონაწილე წარმოადგენს**

საპატიო მიზეზის დამადასტურებელ ცნობას საგამოცდო დღემდე ანდა არაუგვიანეს საგამოცდო დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

- საგამოცდო სივრცეში დაიშვებიან მხოლოდ მონაწილეები და ასოციაციის მიერ სპეციალურად განსაზღვრული პირები, შესაბამისი სამკერდე მოწმობით;
- **გამოცდის მონაწილეს გამოცდის მსვლელობისას ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა მსგავსი მასალის, ასევე, საწერი ფურცლებისა და წიგნაკების, კალმების, აუდიო ან სხვა ტექნიკური, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება. აღნიშნული დანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება გამოცდიდან;**
- **უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე საგამოცდო სივრცეში აკრძალულია ყავის შეტანა. აღნიშნული დანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება გამოცდიდან და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის წესებიდან გამომდინარე დაჯარიმდება 500 ლარით;**
- **უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ადმინისტრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში აკრძალულია თამბაქოს, ჩილიმის ან/და ელექტრონული სიგარეტის მოწევა/მოხმარება. აღნიშნული დანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება გამოცდიდან და უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის წესებიდან გამომდინარე დაჯარიმდება 500 ლარით;**
- მონაწილე, რომელიც არღვევს წინამდებარე წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გაფრთხილების მიუხედავად, მოიხსნება გამოცდიდან და მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მომდევნო საკვალიფიკაციო გამოცდაში, ხელახალი რეგისტრაციისა და საფასურის გადახდის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო გამოცდის გასაჩივრების წესები მონაწილეთათვის

(გასაჩივრების დღე)

- გასაჩივრების ხანგრძლივობა - 4 (ოთხი) საათი;
- მონაწილე საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების გასაჩივრების მიზნით უნდა გამოცხადდეს გასაჩივრების ჩატარების ადგილზე, წინასწარ მისთვის განსაზღვრულ დროს, რომელიც ეცნობება საგამოცდო პორტალის საშუალებით და გაიაროს რეგისტრაცია;

- რეგისტრაციის მიზნით, გამოცდის მონაწილემ თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი გასაჩივრების სესიაზე არ დაიშვება;
- გასაჩივრების დაწყების შემდეგ, დაგვიანებით გამოცხადებული მონაწილე დაიშვება გასაჩივრების სესიაზე და ისარგებლებს მხოლოდ იმ დროით, რაც დარჩენილია გასაჩივრებისთვის განსაზღვრული დროის დასრულებამდე;
- გასაჩივრებისთვის განსაზღვრულ სივრცეში მონაწილე დაიშვება მხოლოდ რეგისტრაციისა და ნებისმიერ ტექნიკურ, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებებზე სპეციალური დეტექტორით შემოწმების შემდგომ. გასაჩივრებისთვის განსაზღვრულ სივრცეში მონაწილეს შეუძლია დაიკავოს მისთვის სასურველი ნებისმიერი ადგილი;
- გასაჩივრების დაწყებამდე მონაწილე ეცნობა ელექტრონული სისტემის გამოყენებისა წესებს;
- გასაჩივრების სესიის მონაწილეს უფლება აქვს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში დატოვოს გასაჩივრებისთვის განსაზღვრული სივრცე (საგამოცდო დარბაზი), მაგრამ არაუმეტეს ორჯერ. აღნიშნული დანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება გამოცდიდან;
- გასაჩივრების მსვლელობისას აკრძალულია მატერიალური ფორმით ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა მსგავსი მასალის, ასევე, საწერი ფურცლებისა და წიგნაკების, კალმების, აუდიო ან სხვა ტექნიკური, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;
- გასაჩივრებისას, თითოეული მონაწილესთვის ხელმისაწვდომი იქნება საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ნორამატიული მასალა მხოლოდ ელექტრონულად;
- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ იმ კითხვების გასაჩივრება რომელზეც არასწორად გაქვთ პასუხი გაცემული;
- გასასაჩივრებელი საგამოცდო ტესტური კითხვების რაოდენობა შეზღუდული არ არის, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ნებისმიერი საგამოცდო ტესტური კითხვა, რომელზეც არასწორად გაქვთ პასუხი გაცემული;
- სავალდებულოა თითოეულ გასაჩივრებულ კითხვაზე დაწეროთ სამართლებრივი დასაბუთება, რატომ თვლით რომ კითხვა ხარვეზიანია ან/და თქვენ მიერ მონიშნული პასუხი სწორია;
- თითოეული გასაჩივრებული კითხვის საფასური შეადგენს 10 (ათი) ლარს;
- გასაჩივრების საფასურს, თქვენ მიერ გასაჩივრებული კითხვებისთვის, იხდით საგამოცდო პორტალის საშუალებით, თქვენი პირადი კაბინეტიდან;
- გასაჩივრების საფასურის გადასახდელად და საჩივრის დასასრულებლად, საჩივრის დასადასტურებლად განსაზღვრულ ვადაში, სავალდებულოა შეხვიდეთ საგამოცდო პორტალზე პირად კაბინეტში (მიმდინარე

გასაჩივრებები), საიდანაც შეძლებთ თქვენ მიერ გასაჩივრებული კითხვების ნახვას, დადასტურებას და გასაჩივრების პროცესის დასრულებას.

- თუ თვლით, რომ აღარ გსურთ რომელიმე კითხვის გასაჩივრება, პირადი კაბინეტიდან შესაძლებლობა გექნებათ მონიშნოთ და დაადასტუროთ მხოლოდ კონკრეტული კითხვები და საფასურიც შესაბამისად დაანგარიშდება;
- სავალდებულოა გასაჩივრების საფასური გადაიხადოთ საჩივრის დასადასტურებლად განსაზღვრულ კონკრეტულ ვადაში, საგამოცდო პორტალის საშუალებით, თქვენი პირადი კაბინეტიდან;
- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გასაჩივრების დასასრულებლად, საჩივრის დასადასტურებლად განსაზღვრულ ვადაში თქვენი პირადი კაბინეტიდან საჩივრის დადასტურების ან/და საფასურის გადახდის გარეშე საჩივარი არ განიხილება;
- დადასტურების შემდგომ, თქვენი საჩივარი განიხილება ექსპერტთა ჯგუფის მიერ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში და შედეგი გეცნობებათ საგამოცდო პორტალის საშუალებით;
- ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილება, თითოეულ კითხვასთან მიმართებით, შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით, თქვენს საგამოცდო პორტალზე შედეგების გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).